გაუნაწილებელი ჰონორარების განკარგვის ზოგადი წესი და პოლიტიკა

ა(ა)იპ - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია (შემდგომში - ,,ასოციაცია“) უზრუნველყოფს ჰონორარების შეგროვებასა და განაწილებას უფლებამფლობელებზე. თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორიცაა არასრული მონაცემები, არაიდენტიფიცირებული უფლებამფლობელი და/ან სხვა ობიექტური მიზეზები, ჰონორარის ნაწილი შესაძლოა დარჩეს გაუნაწილებელი.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს და არეგულირებს გაუნაწილებელი ჰონორარების განკარგვის ზოგად წესსა და პოლიტიკას (შემდგომში - ,,პოლიტიკა“).

1. **გაუნაწილებელი ჰონორარის სტატუსი**

1.1. გაუნაწილებელ ჰონორარად ითვლება ნაწარმოებების გამოყენებიდან შეგროვებული ჰონორარი, რომელზეც საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის მფლობელი ვერ იდენტიფიცირდება და ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ტექნიკურად შეუძლებელია ნაწარმოების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიღება და/ან დამუშავება. ამასთან, ასოციაციამ იდენტიფიცირებისთვის გასწია ყველა გონივრული რესურსი, მათ შორის, განახორციელა მონიტორინგი და ყველა შესაძლო მოკვლევითი ღონისძიება.

1.2. ჰონორარს შესაძლოა მიენიჭოს გაუნაწილებელი ჰონორარის სტატუსი შემდეგი მიზეზების გამო:

- მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ნაკლებობა;
- საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტ(ებ)ზე მიმდინარე ქონებრივი უფლებების საკუთრებაზე დავა; დავის გადაწყვეტამდე ასოციაცია არ გაანაწილებს ჰონორარს.
- მოსარგებლის მიერ ასოციაციისთვის საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით არაზუსტი და/ან არასრული მონაცემების მიწოდება;
- უფლებამფლობელის/მისი წარმომადგენლის ან კოლექტიური მართვის ორგანიზაციის უარი მის სასარგებლოდ განაწილებული ჰონორარის გადასახდელად ასოციაციასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე;
- ასოციაციის მიერ უფლებამფლობელის და/ან საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის იდენტიფიცირების მიუხედავად, შესაბამისი უფლებამფლობელის და/ან კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ ასოციაციისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა საკონტაქტო პირის და/ან სხვა აუცილებელი საკითხის თაობაზე.
- სხვა ობიექტური და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობა.

1.3. ჰონორარს რომელიც ვერ განაწილდა იმ ფინანსური წლის დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში რომელშიც იგი შეგროვდა, ენიჭება განაწილებელი ჰონორარის სტატუსი. ვადა აითვლება იმ ფინანსური წლის დასრულებიდან როდესაც ჰონორარი შეგროვდა.

1.4. ასოციაცია შეგროვებული ჰონორარის განაწილებას უზრუნველყოფს იმ ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა, რომელშიც შეგროვდა ჰონორარები. ხოლო თუ უფლებამფლობელის მიკვლევა ვერ ხერხდება, შეგროვებული თანხები ინახება ასოციაციის ცალკე ანგარიშზე.

2. **გაუნაწილებელი ჰონორარის განაწილების ძირითადი პრინციპები**

2.1. ასოციაცია უფლებების მართვიდან მიღებულ შემოსავალს ანაწილებს უფლებამფლობელებს შორის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

2.2. გაუნაწილებელი ჰონორარების გამოყენებისას ასოციაცია ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებით.

2.3. ასოციაცია უზრუნველყოფს საკუთარი წევრებისთვის გაუნაწილებელი ჰონორარის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

2.4. ასოციაცია უზრუნველყოფს ჰონორარების სამართლიან და პროპორციულ განაწილებას, რაც ხელს უწყობს უფლებამფლობელების უფლებების დაცვას და მათი შემოქმედების სამართლიან ანაზღაურებას.

3. **საერთო კრების ინფორმირება და გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენება**

3.1. ასოციაციის თავმჯდომარე ასოციაციის საერთო კრებაზე წევრებს ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას:

- გაუნაწილებელი ჰონორარის ოდენობის, წარმომავლობის და სტატუსის თაობაზე;
- ყველა ინფორმაციას, რომელიც შეეხება ჰონორარის განკარგვას, მის გადარიცხვას და გამოყენებას.

3.2. ასოციაციის საერთო კრება წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად გაუნაწილებელი ჰონორარის განკარგვის ფორმის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასოციაციის კონკრეტული მიზნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ პროცესში დაცული უნდა იყოს უფლებამფლობელთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

3.3. ასოციაცია გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფს უფლებამფლობელების მიერ ამ თანხების ანაზღაურების უფლების მოთხოვნის ხელყოფის გარეშე.

3.4. ასოციაცია უზრუნველყოფს ყველა საჭირო და გონივრული ზომის მიღებას უფლებამფლობელების იდენტიფიცირებისა და მიკვლევისთვის. მათ შორის და არამარტო, ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადის გასვლიდან 3 (სამი) თვის ვადაში ასოციაცია საკუთარი ვებ-გვერდის მეშვეობით ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას იმ ნაწარმოების და/ან საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის შესახებ, რომლის ერთი ან ერთზე მეტი უფლების მფლობელი იდენტიფიცირებული არ არის.

3.5. ასოციაციის მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტის სახელწოდება (სათაური);
- უფლების მფლობელის სახელი ან სახელწოდება;
- შესაბამისი გამომცემლის ან დამამზადებლის სახელი;
- მოსარგებლეების კატეგორიის შესახებ, კერძოდ, რომელ კატეგორიაში მოხდა ამ ნაწარმოების ან/და კანონით დაცული სხვა ობიექტის გამოყენება;
- ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს უფლების მფლობელის იდენტიფიცირებას ან მიკვლევას.

3.6. ასოციაცია უფლებამოსილია განკარგოს ის ჰონორარი, რომელიც განაწილებული/მოთხოვნილი არ იქნა 3 (სამი) წლის განმავლობაში. ეს ვადა აითვლება იმ ფინანსური წლის დასრულებიდან, რომელშიც ეს ჰონორარი შეგროვდა. აღნიშნული ჰონორარი შეიძლება მიემატოს უფლებამფლობელებისთვის გასანაწილებელი ჰონორარის ოდენობას ან გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ სარგებელი მოუტანოს უფლებამფლობელებს.

3.7. ასოციაცია უფლებამოსილია მის წევრთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაუნაწილებელი ჰონორარიდან თანხები გადარიცხოს ასოციაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილ ფონდებში (შემდგომში - ,,ფონდი"). ფონდებში გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და ყოველწლიურად უნდა გამოქვეყნდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე.

4. **ასოციაციის მიერ გაუნაწილებელი ჰონორარის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება და გამჭვირვალობა**

4.1. ასოციაცია უზრუნველყოფს გაუნაწილებელი ჰონორარების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობას.

4.2. ასოციაცია სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებით მისი მართვის ქვეშ მყოფი ცალკეული უფლებების და უფლებათა კატეგორიების კოლექტიურად მმართველი

ორგანიზაციებისთვის ელექტრონული ფოსტით ან სხვა ელექტრონული საშუალებით ხელმისაწვდომს ხდის შესაბამის პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელშიც ასახული იქნება:

- ზუსტი ინფორმაცია ასოციაციის მიერ ჰონორარის განაწილების შესახებ, აგრეთვე უფლებათა და უფლებათა გამოყენების ტიპის მიხედვით გადახდილი ჰონორარების შესახებ და შეგროვების პერიოდის მიხედვით გაუნაწილებელი ნებისმიერი შემოსავლის თაობაზე.

4.3. ასოციაცია ყოველწლიურად უზრუნველყოფს გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის გამოქვეყნებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ჰონორარების შეგროვების, განაწილებისა გაუნაწილებელი ოდენობების შესახებ. კერძოდ:

- ასოციაციის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში განაწილებისა და გადახდების განუხორციელებლობის შემთხვევაში – მისი დაგვიანების მიზეზების თაობაზე ინფორმაციას;
- ჯამური გაუნაწილებელი თანხების შესახებ ინფორმაციას და ამ თანხების გამოყენების შემთხვევაში – ახსნა-განმარტებებს, თუ რა მიზნით იქნა გამოყენებული ეს თანხები;

5. პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება

5.1. ასოციაცია პერიოდულად უზრუნველყოფს გაუნაწილებელი ჰონორარის განკარგვის წესისა და პოლიტიკის გადახედვას, სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვისთვის. აღნიშნულის საფუძველზე ასოციაცია უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.